მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კვლევის მეთოდოლოგია

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კვლევის მეთოდოლოგია

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი
2021

მეთოდოლოგიის დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იყო გაწეული. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის ავტორები: თორნიკე გერლიანი, მარიამ გობრონიძე
ექსპერტი: ნილ ვაინშტაინი
დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე
ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი
მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06
https://socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

1. „მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა“ - ცნების გააზრება 5

2. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ელემენტები 7

3. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები 9

3.1. ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბარიერები 9

3.2. სამართლებრივ ცნობიერებასა და გაძლიერებასთან დაკავშირებული ბარიერები 15

3.3. ფიზიკური, ინფრასტრუქტურული და გეოგრაფიული ბარიერები 18

3.4. ფინანსური ბარიერები 20

3.5. სოციალური და კულტურული ბარიერები 21

1. „მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა“ — ცნების გააზრება

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა მოიაზრებს ადამიანთა შესაძლებლობას მიაღწიონ სამართლებრივი პრობლემების[1] სამართლიან გადაწყვეტას და განახორციელონ თავიანთი უფლებები, ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად; საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი იურიდიული დახმარებით.[2]

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას განსხვავებული პერსპექტივებიდან განიხილავენ, როგორებიცაა: სამართლებრივი, სოციოლოგიური და საჯარო მმართველობის. ცალკე შეიძლება გამოიყოს ამ საკითხის შესახებ პოლიტიკური ჩარჩო-მიდგომა (ე.წ. სოციალური სამართლიანობის მიდგომა).[3]

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სამართლებრივი კონცეფცია მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მისი მეშვეობით უნდა მოხდეს ისეთი კანონმდებლობის ჩამოყალიბება, რომელიც დაეფუძნება თანასწორობისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა სამართლებრივი გაგებით გულისხმობს, რომ თითოეულ ადამიანს, მიუხედავად მისი სოციალური, ეკონომიკური, გენდერული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სტატუსისა, უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა, ისარგებლოს მართლმსაჯულების სისტემით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონები უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და ინკლუზიური, უნდა არსებობდეს ისეთი საკანონმდებლო ჩანაწერები, რომ მართლმსაჯულების სერვისებზე წვდომა ყველა მოქალაქისთვის იყოს შესაძლებელი, სახელმწიფო ორგანოები კი თანასწორად და მგრძნობელობით ეპყრობოდნენ თითოეულ მოქალაქეს.

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სოციოლოგიური მიდგომა ცდილობს ამოიცნოს მოსახლეობის და კონკრეტული ჯგუფების სოციალური საჭიროებები და ის სტრუქტურული საკითხები, რომლებიც შესაძლოა პრობლემის სათავეს წარმოადგენდეს (სიღარიბე, საცხოვრისის პრობლემა, ჯანდაცვა, განათლება და სხვა). ამდენად, სოციოლოგიური მიდგომა უმთავრესად ფოკუსირდება მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ბარიერებზე. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს მრავალი ფაქტორი, როგორიცაა: საშუალო შემო-

1 ტერმინი სამართლებრივი შემთხვევები (“justiciable events”) მოცემულ ტექსტში გამოიყენება ისეთი პრობლემების აღსაწერად, რომლებიც სამართლებრივ დაბრკოლებებს წარმოშობენ, მიუხედავად იმისა ამას ასე აღიქვამენ თუ არა ისინი ვისაც ის ეხება და მიუხედავად იმისა მათთან გასამკლავებლად სამართლებრივი პროცესი იქნა თუ არა წარმართული.

2 Legal Needs Surveys and Access to Justice, Open Society Foundations, OECD Publishing, 2019, გვ. 24.

3 იხ.: Bolivar René Njupouen, Access to justice for the poor, what role for bar associations? The case of Cameroon, 2005, Chapter 2: Access to Justice – Literature Review.

სავალი, უთანასწორობის მაჩვენებელი, ეკონომიკური სტრუქტურა, ურბანიზაცია, მოსახლეობის ჰომოგენურობა/ჰეტეროგენურობა ეთნიკურობის ნიშნით, ეროვნება, რელიგია, ოჯახის სტრუქტურა, განათლების დონე თუ სხვა. მაგალითად, მართლმსაჯულების ინსტიტუტების ფუნქციონირებისთვის არსებული მწირი ფინანსური და ადამიანური რესურსები არის ამ სისტემის უსამართლო და არაეფექტიანი ფუნქციონირების წინაპირობა. ამ კონცეფციის მიზანია გამოავლინოს სოციალური საჭიროებები და ბარიერები და დაადგინოს როგორ მიემართება ისინი მართლმსაჯულების სისტემით სამართლიანად და თანასწორად სარგებლობის მიზანს.

სამართლებრივი და სოციოლოგიური მიდგომების შეჯერება გვაძლევს შესაძლებლობას ვისაუბროთ საჯარო მმართველობის იდეაზე, რომელიც უფრო მეტად სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციიდან გამომდინარეობს. მთლიანობაში, მიზანი უნდა იყოს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული საჭიროებების ჯერ უფლებებად, შემდეგ კი საჯარო სიკეთეებად გარდაქმნა. ამ ნაწილში, საჯარო მმართველობის მიდგომა მოიაზრებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემების აღმოფხვრას იურიდიული სერვისების/პროგრამების/სტრატეგიების დაფინანსების გზით.

პოლიტიკური მიდგომა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას განიხილავს არა მხოლოდ სამართლებრივი საჭიროებების საკითხად, არამედ ეს კონცეფცია ხელს უწყობს ადამიანთა ინდივიდუალურ და კოლექტიურ სამართლებრივ თუ პოლიტიკურ გაძლიერებას და ადამიანთა უფლებრივი/პოლიტიკური აგენტობის ჩამოყალიბებას. ამ გაგებით, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა მართალია განსხვავებულ შინაარსს ატარებს, თუმცა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლებრივი გაძლიერების კონცეფციასთან.[4]

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემების სრულყოფილი სურათის დასანახად და სამომავლო სტრატეგიების დასაგეგმად უკიდურესად მნიშვნელოვანია თითოეული ამ მიდგომის ელემენტების გამოყენება. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას მრავალი შრე აქვს. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ყოველმხრივ გასაანალიზებლად, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტი, როგორიცაა იურიდიული დახმარების სამსახური, პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო და სხვა, უნდა იქნეს განხილული.

4 მაგალითისათვის იხილეთ: (1) Stephen Golub, What is Legal Empowerment? An Introduction, 2010, გვ. 4, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35Ne4oS, წვდომის თარიღი: 03.06.2021. (2) Pilar Domingo and Tam O'Neil, The politics of legal empowerment, 2014, გვ. 13, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qsTl39, წვდომის თარიღი: 03.06.2021.

2. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ელემენტები

2000-იანი წლებიდან განვითარებულმა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფრო კომპლექსურმა მიდგომამ გამოაჩინა, რომ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას მრავალწახნაგოვანი ბუნება აქვს და მოიცავს მრავალ ისეთ ეკონომიკურ, სტრუქტურულ და ინსტიტუციურ ფაქტორს, როგორებიცაა სამართლებრივი პროცესის წარმოების სირთულე და მასთან დაკავშირებული ხარჯები, სასამართლო განხილვის ვადები, გეოგრაფიული თუ სხვა ფიზიკური ხელშემშლელი ფაქტორები. მოსახლეობის უმრავლესობისათვის, განსაკუთრებით მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფებისათვის არა მხოლოდ მათი უფლებების დაცვის სამართლებრივ გზებზე წვდომაა ლიმიტირებული, არამედ ხშირად მათ სამართლებრივი პრობლემის ცოდნა/გააზრების უნარიც არ აქვთ.[5] სწორედ ამიტომ, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერების შესწავლა შეუძლებელია ინდივიდის/ჯგუფის სამართლებრივი საჭიროებების[6] განსაზღვრის გარეშე. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის სამართლებრივი საჭიროებების კვლევა და იმის დადგენა თუ რა საჭიროებები ვერ რეალიზდება პრაქტიკაში. ამდენად, ბარიერებისა და მოსახლეობის სამართლებრივი საჭიროებების ურთიერთმიმართების ანალიზი უნდა იყოს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის კვლევის მეთოდოლოგიაზე მუშაობის ამოსავალი წერტილი.

სამართლებრივი საჭიროებების ანალიზი ნიშნავს სამართლებრივი პრობლემების გამოცდილების კვლევას იმ პირთა პერსპექტივიდან, ვინც მათ წინაშე დგას („ქვემოდან ზემოთ“ მიდგომა), და არა მართლმსაჯულების პროფესიონალებისა და ინსტიტუტების გადმოსახედიდან (“ზემოდან ქვემოთ” მიდგომა). მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ერთგვარად უნდა აერთიანებდეს ორ მთავარ ღირებულებას, როგორიცაა კანონის წინაშე თანასწორობა და სამართლის უზენაესობა.[7] შესაბამისად, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა მოიაზრებს აქცენტების დასმას სამართლებრივი სისტემის არსებობის ორ უმნიშვნელოვანეს მიზანზე:

1. სამართლებრივი სისტემა თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის;
2. სამართლებრივი სისტემა უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მიღწეულ იქნეს როგორც ინდივიდუალური, ასევე სოციალური სამართლიანობა.[8]

5 Open Society Foundations, Leveraging the SDGs for Inclusive Growth: Delivering Access to Justice for All, Issues Brief, 2016, გვ. 7.

6 სამართლებრივი საჭიროება - სამართლებრივი შესაძლებლობების დეფიციტი, რომელიც შესაბამისი პრობლემის სათანადოდ მოგვარების მიზნით სამართლებრივ დახმარებას საჭიროებს. იხ: OECD & Open Society Justice Initiative. Legal Needs Surveys and Access to Justice. Paris: Organisation for Economic Co-operation and Development, 2018, გვ. 22.

7 Sagit Mor, With Access and Justice for All, Cardozo Law Review (Vol. 39), 2017.

8 Bryant G. Garth & Mauro Cappelletti, Access to Justice: The Newest Wave in the Worldwide Movement to Make Rights Effective, 27 Buff. L. Rev. 182 (1978).

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ერთიანი ცნების არარსებობის გამო, ხშირად მისი მახასიათებლების თუ ელემენტების სხვადასხვაგვარი კატეგორიზება ხდება. თუმცა, ძირითადად მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის 6 ელემენტს გამოყოფენ: 1. სამართლებრივი ჩარჩო; 2. მოსახლეობის სამართლებრივი ცოდნა; 3. სამართლებრივი დახმარება/კონსულტირება; 4. სამართლებრივ ინსტიტუციებზე წვდომა; 5. სამართლიანი განხილვის პროცედურა და ამ პროცედურით მიღწევადი შედეგი; 6. გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი.[9] ამ კომპონენტების გაერთიანებით, მკვლევართა გარკვეული ნაწილი მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას სამშრიან პროცესად განიხილავს. პირველი შრე შესაძლოა დახასიათდეს, როგორც ხელმისაწვდომობა სასამართლოზე, მეორე შრე – წვდომა კანონზე, მესამე შრე არის ის ბარიერები, რომელიც სამართლებრივი პროცედურის შედეგს უკავშირდება.[10]

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ყველა ეს დონე მოიცავს სამართლებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ მიმართულებებს და თითოეული ცდილობს აღმოფხვრას უთანასწორობის მრავალი ფორმა და მისცეს შესაძლებლობა ინდივიდებს, რომ გავლენა ჰქონდეთ სამართლებრივი ნორმების შექმნისა და იმპლემენტაციის პროცესებზე.[11]

9 American Bar association, Access to Justice Assessment Tool, 2012, გვ. 3.

10 Sagit Mor, With Access and Justice for All, Cardozo Law Review (Vol. 39), 2017, გვ. 614.

11 იქვე, გვ. 635.

3. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები ყოველი ამ შრის განხილვისას წარმოჩინდება, ისინი ინტერსექციულია და მოიცავს როგორც შინაარსობრივ, ასევე პროცედურულ ასპექტებს. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ერთიანი უნივერსალური ცნების არარსებობის მსგავსად, არ არსებობს ბარიერების ამომწურავი ჩამონათვალი, თუმცა მათი შემდეგი ძირითადი კატეგორიების მიხედვით დაჯგუფებაა შესაძლებელი:[12]

- ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბარიერები;
- სამართლებრივ ცნობიერებასა და გაძლიერებასთან დაკავშირებული ბარიერები;
- ფიზიკური, ინფრასტრუქტურული და გეოგრაფიული ბარიერები;
- ფინანსური ბარიერები;
- სოციალური და კულტურული ბარიერები.

ეს კატეგორიზაცია, მართალია, გარკვეულწილად თეორიული და ხელოვნურია, თუმცა, ისინი საზოგადოების, კულტურისა და ეკონომიკის ფართო სტრუქტურებში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერების დასაიდენტიფიცირებლად და სხვადასხვა დაბრკოლების დასადგენად გამოიყენება.

3.1. ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბარიერები

ინსტიტუციური ბარიერები მოიცავს ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემის იმ შესაძლებლობებს, სტრუქტურასა და ფუნქციონირებას, რაც გავლენას ახდენს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე. საკანონმდებლო ბარიერები ქვეყნის საერთო საკანონმდებლო ბაზის ხარისხს მიემართება, რასაც შეუძლია გაამარტივოს ან გაართულოს მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობა. წერილობითი ფორმით წესების არსებობა ინდივიდებს საშუალებას აძლევს, სამართლებრივი პროცედურები წამოიწყონ მართლმსაჯულების ინსტიტუტებში, რომლებიც განიხილავენ სხვადასხვა ტიპის სამართლებრივ შემთხვევებს და ამგვარად, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას აძლიერებს.

12 American Bar association, Access to Justice Assesment Tool, 2012, ასევე იხ. Open Society Foundaitions, Leveraging the SDGs for Inclusive Growth: Delivering Access to Justice for All, Issues Brief, 2016; Sagit Mor, With Access and Justice for All, Cardozo Law Review (Vol. 39), 2017.

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სრული სურათის დასანახად ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბარიერების შემდეგი ასპექტები უნდა გაანალიზდეს:

- წესებისა და სტანდარტების სიცხადე – კანონმდებლობამ თავიდან უნდა აიცილოს სამართლებრივი ჩარჩოს ბუნდოვანება. პირველ რიგში, ინდივიდს სრულად მხოლოდ მაშინ შეუძლია ისარგებლოს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებით, როდესაც ის ინფორმირებულია იმ კანონების შესახებ, რომლებიც არეგულირებენ კონკრეტულ სამართლებრივ შემთხვევას. ზოგადად, წესები და სტანდარტები ბუნდოვანების საფუძვლით შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი, როდესაც საშუალო სტატისტიკური ინდივიდი ვერ განსაზღვრავს, თუ რა ურთიერთობები რეგულირდება მისით, ვის მიემართება ის და რა იქნება რეგულირების საბოლოო შედეგი. მეორეც, სამართლებრივი ჩარჩოს ბუნდოვანებას შესაძლოა თვითნებური გადაწყვეტილების მიღებაც მოყვეს, ამიტომ, ის არის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება.

- მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობა/ჩართულობა პოლიტიკის/კანონის შემუშავების პროცესში – მონაწილეობითი პროცესი „კარგი მმართველობის" ხუთი პრინციპიდან ერთ-ერთია.[13] შედეგების ინკლუზიურობისა და ფართო საზოგადოების მიერ საკუთარი თავის ამ შედეგებზე გადაწყვეტილებაუნარიანად აღქმის გამო იგი აძლიერებს პოლიტიკის ლეგიტიმურობას. მონაწილეობითი კონსულტაციები საშუალებას აძლევს საზოგადოებას, სამოქალაქო სექტორსა და დაინტერესებულ მხარეებს ჩაერთონ პოლიტიკის კონცეფციის ან/და კანონმდებლობის შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე.[14] თანმიმდევრულად გაწერილ ვადებთან ერთად, კონსულტაციები დამატებით უნდა დაემყაროს გამჭვირვალობის მკაფიო ვალდებულებას, რაც ყველა დაინტერესებულ მხარეს მისცემს შესაძლებლობას შეისწავლოს პოლიტიკის კონცეფციები, განიხილოს კანონპროექტები და შეძლოს ინფორმირებული უკუკავშირისა და რეკომენდაციების მიწოდება.[15]

- არადისკრიმინაციული და ინკლუზიური სამართლებრივი ჩარჩო – სამართლებრივი ჩარჩო უნდა უზრუნველყოფდეს თანაბარ შესაძლებლობებს ყველასათვის, მათ შორის ქალებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის, ლგბტ თემისთვის და ა.შ. მათ

13 „კარგი მმართველობის" ხუთი პრინციპი ხაზგასმულია ევროკომისიის ევროპული მმართველობის თეთრ წიგნში. იხილეთ: European governance - A white paper/COM/2001/0428, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2SyFbkI, წვდომის თარიღი: 03.06.2021.

14 Council of Europe, Code of Good Practice for Civil Participation in the Decision-Making Process, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/35TbUnH, წვდომის თარიღი: 03.06.2021.

15 Civil Participation in Decision Making in the Eastern Partnership Countries, Part Two: Practice and Implementation, Regional Project Civil Participation in Decision Making in the Eastern Partnership Countries, Council of Europe, Strasbourg, France, April 2017, გვ. 11.

არც უნდა უგულებელყონ გარკვეული ჯგუფების სპეციალური საჭიროებები და არც ხელი შეუშალონ მათ ფორმალური სისტემის მეშვეობით სამართლიანობის ძიებაში.[16]

- დაცვის სამართლებრივი საშუალებების არსებობა – დაცვის სამართლებრივი საშუალებები შესაძლებლობას აძლევს ხალხს თავი დაიცვან სამართლებრივ შემთხვევაში მონაწილეობისას სხვის მიერ ზიანის მიყენებისაგან ან/და ითვალისწინებს ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს მიყენებული ზიანის გამოსწორებას, მაგალითად, ანაზღაურებისა და კომპენსაციის გზით.

- სახალხო დამცველის/ომბუდსმენის ინსტიტუტის ხელმისაწვდომობა – ზოგადად, ომბუდსმენი აკონტროლებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, რჩევებს აძლევს მთავრობას ადამიანის უფლებების საკითხებში, აანალიზებს სახელმწიფოს კანონების, პოლიტიკისა და პრაქტიკის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან და იძლევა შესაბამის რეკომენდაციებს, საკუთარი ინიციატივით განიხილავს საჩივრებსა და ადგენს ფაქტებს, აგროვებს ინფორმაციას სახელმწიფო ადმინისტრაციების ფუნქციონირების შესახებ. ამიტომ, ისეთი სისტემური პრობლემების მოგვარებაში, როგორიცაა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა, სახალხო დამცველის ინსტიტუტს სასიცოცხლო ფუნქცია აქვს.

- პროფესიონალური იურიდიული კონსულტაციისა ან/და წარმომადგენლობის არსებობა – მიუხედავად იმისა, რომ კერძო ადვოკატებს, უფასო იურიდიულ მომსახურებებს, იურიდიულ კლინიკებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ იურიდიული დახმარების გაწევა და კონკრეტულად დაუცველი ჯგუფების სამიზნედ დასახვაც, იურიდიული დახმარების სერვისების ძირითადი ნაწილი მათთვის, ვისაც ეს სჭირდება, მაგრამ ამის საშუალება არ აქვს, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. სახელმწიფო რესურსების არასაკმარისობა მოითხოვს გარკვეულ შეზღუდვებს უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის მიმართულებით და საქმის (მაგ. სისხლის სამართლის საქმეები) და მომსახურების მიმღების (მაგ. ეკონომიკურად მოწყვლადი ჯგუფები) ტიპის მიხედვით პრიორიტეტების განსაზღვრას. ამასთან, არასათანადო სამართლებრივი დებულებებისა და სხვა ინსტიტუციური ფაქტორების გამო, ადამიანებს, რომელთაც სჭირდებათ იურიდიული კონსულტაცია/წარმომადგენლობა, უფასო იურიდიული დახმარების გაწევაზე (საზოგადოებრივი იურიდიული დახმარების სამსახურები) ხშირად უარს ეუბნებიან, თუ ისინი არ აკმაყოფილებენ კანონით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს. შესაბამისად, დასაშვებობის კრიტერიუმებმა შეიძლება გადამწყვეტი გავლენა იქონიოს სამართლებრივი შემთხვევებისას და-

16 Programming for Justice: Access for All, A Practitioner's Guide to a Human Rights-Based Approach to Access to Justice, UNDP, 2005, გვ. 157.

ზარალებულ მოქალაქეებზე, ამიტომაც მათი სწორად გასაზღვრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.[17] ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბარიერების შესაფასებლად შემდეგი კომპონენტები უნდა იქნას გამოყენებული:

– იურიდიული დახმარების სამსახურის რაობა;
– იურიდიული დახმარების გამწევთა წვრთნისა და კომპეტენციის დონე;
– მომსახურების ხარისხი;
– უფასო იურიდიული დახმარების მიღებისათვის არსებული დასაშვებობის კრიტერიუმები.

- ფორმალური/არაფორმალური დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებზე ხელმისაწვდომობა და მათი სამართლიანობა – ზოგი მიიჩნევს, რომ კონფლიქტის მოგვარების მეგობრული, არასადამსჯელო მექანიზმების გამოყენება მართლმსაჯულების ინსტიტუტებზე წვდომის გასაუმჯობესებლად საუკეთესო გზაა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გაძლიერება. ამასთან, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები არ წარმოადგენს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის პანაცეას ყველასთვის და ის საკანონმდებლო დონეზე უნდა შეფასდეს სხვა ინსტიტუციურ სტრუქტურებთან ერთად.[18]

- სასამართლოში წარსადგენი სამართლებრივი დოკუმენტების მომზადების სირთულე – სამართლებრივი წერა ადვოკატებისთვისაც კი შეიძლება გამოწვევას წარმოადგენდეს, ამიტომ სასამართლოში საქმის წარდგენისას მხარისთვის ეს ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა. განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიონალური იურიდიული დახმარება არ არის ხელმისაწვდომი.

- მოსამართლეთა/სასამართლო სისტემის კომპეტენცია, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ავტონომია და ანგარიშვალდებულება – ამ მახასიათებლებს (მაგალითად, კანონით გარანტირებულ დამოუკიდებლობას, დანიშვნების გამჭვირვალე პროცედურებს და ა.შ.) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასამართლო სისტემის ფუნქციონირებისთვის. სამართლიანი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სასამართლო ფუნქციების განხორციელებისას მოსამართლეები დაცულნი იყვნენ არასათანადო გავლენისგან, რომელიც მოდის გარე წყაროებიდან (მაგალითად, მოსარჩელე მხარეები, მედია) ან, რაც მთავარია, ხელისუფლების სხვა შტოებიდან. ამ უკანასკნელმა შეიძლება გამოიწვიოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის კონსტიტუციური და ადმინისტრაციული ბალანსის დარღვევა.

17 იქვე, გვ. 7, ასევე, იხ.: გვ. 143.

18 Pathways to Justice, Access to Justice with a focus on Poor, Women and Indigenous People, UNDP, გვ. 3.

შესაბამისად, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა გარანტირებული უნდა იყოს კანონით. ამასთან, ეს სულაც არ უზრუნველყოფს დამოუკიდებლობას. მიუკერძოებელი, ავტონომიური და კომპეტენტური სასამართლო სისტემა შეიძლება დაეფუძნოს მოსამართლეთა ცოდნისა და უნარების მუდმივად გაღრმავებას, განსაკუთრებით თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც დავის პროცესებში უფრო რთული და მგრძნობიარე საკითხები დგება, რაც ახალ გამოწვევებზე მოსამართლეების ცოდნის ადაპტაციასაც მოითხოვს.

- მხარის შესაძლებლობა წარადგინოს საქმე – ეს კომპონენტი რამდენიმე ფაქტორს მოიცავს, რომელიც პროპორციული და კარგად რეგულირებული უნდა იყოს, იმისათვის რომ ხელი არ შეუშალოს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას. ეს ფაქტორებია:

  – იურისდიქციის/განსჯადობის მარეგულირებელი ნორმები;
  – მიმართვაზე უფლებამოსილი სუბიექტი (განსაკუთრებით სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში) – მიმართვაზე უფლებამოსილი სუბიექტის მარეგულირებელი წესები მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისთვის გადამწყვეტი ფაქტორია. მიმართვაზე უფლებამოსილი სუბიექტის შესახებ არსებული წესები შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს: შეზღუდული წესები ზღუდავს ინდივიდების შესაძლებლობას, მიმართონ სასამართლოს. ამის საპირისპიროდ, მოქნილი წესები, ხშირად ცნობილი როგორც *actio popularis,* საშუალებას აძლევს პირებს სასამართლოს მიმართონ მესამე პირების სახელით. მიმართვაზე უფლებამოსილი სუბიექტის შესახებ არსებული უფრო შუალედური მიდგომა განსაზღვრავს პირთა წრეს, რომლებსაც აქვთ გარკვეული ინტერესი კონკრეტული საქმის მიმართ, რომელიც მათი ექსპერტიზის სფეროშია, ასეთი შეიძლება იყოს არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფკავშირები და სხვა;
  – ვადები – საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადა უნდა იყოს გონივრული, რომ დაზარალებულმა პირმა შეძლოს თავისი საქმის სასამართლოში წარდგენა.

- სასამართლო განხილვის დროს სამართლიანი პროცედურების არსებობა – მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ვრცელდება სამართალწარმოების ხასიათზეც, კერძოდ, მართლმსაჯულებაზე ხარისხიანი წვდომისთვის პირმა უნდა ისარგებლოს სათანადო საპროცესო გარანტიებით. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს მხარისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანის გარანტიას, არამედ სამართლიან და მიუკერძოებელ პროცესს, რომელზეც ეკონომიკური თუ სოციალური სტატუსი გავლენას ვერ მოახდენს.

- საქმის განხილვისთვის საჭირო დრო – მართლმსაჯულებაზე ხარისხიანი წვდომისთვის ასევე მნიშვნელოვანია სამართალწარმოების გონივრული ხანგრძლივობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების თანახმად იმისათვის, რომ სამართალწარმოების პროცესი არ იყოს მხოლოდ თეორიული და ილუზორული, დავის მოგვარება გონივრულ ვადებში უნდა მოხდეს. გადაჭარბებული დროით შეფერხებულმა სამართლებრივი დაცვის საშუალებამ შეიძლება ისეთივე შედეგი გამოიწვიოს, როგორც მართლმსაჯულების საერთოდ უარყოფამ.[19]

- მოსამართლეთა გადატვირთულობა/სასამართლო საქმეთა სიმრავლე – სასამართლოების გადატვირთულობამ შეიძლება ზედმეტად შეაფერხოს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს სამართალწარმოების ვადის მიზანშეუწონლად გახანგრძლივება, მეორეს მხრივ არაგონივრულად დაჩქარებული გადაწყვეტილების მიღების სასამართლო პროცედურები უხარისხო შედეგში შეიძლება აისახოს.

- გადაწყვეტილებათა სამართლიანობა/გონივრულობა – გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს კანონის ფაქტებთან მისადაგებას. მისი საფუძველი უნდა იყოს მკაფიო და მიკერძოებულობის ან სხვა სახის გარე ზეწოლის არც ერთი ნიშანი არ უნდა იყოს სახეზე. შედეგის მიუხედავად, ეს ელემენტი იძლევა გარანტიას, რომ სამართლებრივი პრობლემის მოგვარება პროგნოზირებად ლოგიკას ექვემდებარება და საბოლოო გადაწყვეტილების სხვადასხვა სტანდარტებთან მიმართებით შეფასება შესაძლებელია.

- გადაწყვეტილებათა აღსრულება – ეს კომპონენტი ეხება სასამართლოს გადაწყვეტილებების ან სხვა საბოლოო ბრძანებების შესრულებას, რომლებიც ოფიციალური სასამართლო წარმოების შედეგია. სააღსრულებო სისტემების ინსტიტუციურ მოწყობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისა და დაუსჯელობის შემცირების თვალსაზრისით, რაც შემდგომი უსამართლობების თავიდან აცილების გზაა.[20] ის მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

  – კანონში გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის დადგენილი პროცედურების არსებობა;
  – გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით იძულებითი ძალის გამოყენების შესაძლებლობა.

19 Edel, F. (2007) The Length of Civil and Criminal Proceedings in the Case-Law of the European Court of Human Rights, Strasbourg: Council of Europe Publishing. ასევე, იხ.: Calvez, F. (2006) Length of court proceedings in the Member States of the Council of Europe based on the Case Law of the European Court of Human Rights, Report adopted by European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ) at its 8th plenary meeting, Strasbourg: CEPEJ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zY1hxL, წვდომის თარიღი: 03.06.2021.

20 Programming for Justice: Access for All, A Practitioner's Guide to a Human Rights-Based Approach to Access to Justice, UNDP, 2005, გვ. 7.

- მომსახურების ხელმისაწვდომობა კულტურული და ენობრივი თვალსაზრისით განსხვავებული ადამიანებისთვის – მნიშვნელოვანია, რომ კულტურული და ენობრივი თვალსაზრისით განსხვავებული წარმოშობის ადამიანებს ჰქონდეთ იგივე გარანტიები და შესაძლებლობები როგორც სასამართლო განხილვის ეტაპზე, ასევე სამართლებრივი კონსულტაციის ეტაპზე. ეს შეუძლებელია ამ ასპექტების გათვალისწინების გარეშე:

  – თარჯიმნების ადეკვატური რაოდენობა, ხარისხი და ხელმისაწვდომობა;
  – თარჯიმნების როლისა და გამოყენების შესახებ საზოგადოების, მომსახურების მიმწოდებლებისა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების შესაბამისი ცოდნის დონე.

ინსტიტუციური და საკანონმდებლო ბარიერების შეფასება შესაძლებელია შესაბამისი კანონმდებლობის სამაგიდო კვლევის საშუალებით; პოლიტიკის დოკუმენტების, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების, საჯარო ინფორმაციის წერილების, არსებული ანგარიშების და სხვა მეორადი წყაროების ანალიზის ჩატარებით; მსხვილ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან ინტერვიუების/ფოკუს ჯგუფების ჩატარების მეშვეობით.

3.2. სამართლებრივ ცნობიერებასა და გაძლიერებასთან დაკავშირებული ბარიერები

ბევრი საკითხი, რომელთა ერთი შეხედვით სამართლებრივად დაიდენტიფიცირება რთულია, თავისი არსით შესაძლოა სამართლებრივი იყოს.[21] ამ მხრივ, მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ასევე მოიცავს დაინტერესებული პირების ინფორმირებულობას, რომ სამართლებრივად ჩამოაყალიბონ თავიანთი პრობლემები, ამასთანავე, ამ საკითხების სასამართლო სისტემის/ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე ან სხვა შესაბამისი დახმარების საშუალებით წარმართვის შესაძლებლობას. ეს გულისხმობს ხალხის ცოდნის ხარისხს მართლმსაჯულების სისტემის საშუალებით ზიანის ანაზღაურების/პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესაძლებლობის შესახებ, ვის უნდა მიმართონ ამის შესახებ და როგორ უნდა დაიწყონ სამართლებრივი პროცესი.[22] ასეთი შესაძლებლობები არსებითად უკავშირდება სამართლებრივ გაძლიერებას, რაც საბოლოოდ წარმოადგენს უფლებების, პირველ რიგში კი მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის, რეალიზაციის წინაპირობას.[23]

21 Legal Needs Surveys and Access to Justice, Open Society Foundations, OECD Publishing, 2019.

22 Programming for Justice: Access for All, A Practitioner's Guide to a Human Rights-Based Approach to Access to Justice, UNDP, 2005, გვ. 7.

23 Access to Justice, Justice Policy Series, Part I, Open Government Partnership Global Report – Democracy Beyond the Ballot Box, გვ. 9.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც გავლენას ახდენს ფიზიკურ პირთა სამართლებრივ ცნობიერებასა და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, რა თქმა უნდა, განათლებაა, რაც საბოლოოდ ასახვას ჰპოვებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე.[24]

მოქალაქეთა სამართლებრივი ცოდნის ანალიზისას შემდეგ ასპექტებს აქვს მნიშვნელობა:

- მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი ინფორმაციის ოდენობა და ხარისხი – მოქალაქეებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ძირითადი უფლებების, კანონით გათვალისწინებული მოვალეობებისა და იმის ცოდნას თუ როგორ მიაღწიონ მართლმსაჯულების სისტემაში თავიანთი პრობლემების მოგვარებას.

- მოქალაქეთა ინფორმირებულობა სახელმწიფო იურიდიული დახმარების სისტემის, მისი როლისა და ფუნქციების შესახებ – სახელმწიფო იურიდიული დახმარების სისტემას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში სოციალურად დაუცველი, მაგალითად, ეკონომიკურად მოწყვლადი ადამიანებისთვის აუცილებელი იურიდიული მომსახურების გაწევაში. ამის გამო, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ ინფორმირებულობა მაღალი იყოს საზოგადოების ყველაზე მარგინალიზებულ ჯგუფებში.

- მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონე სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად ხელმისაწვდომი მექანიზმებისა და იმ ინსტიტუციებისა/მომსახურებების შესახებ, რომლებიც შეუძლიათ ამ მიზნით გამოიყენონ – ფორმალური მართლმსაჯულების სისტემის ყველა დაწესებულებას იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მათ მომსახურებას ეყრდნობიან, განათლების მიწოდებისა და ინფორმირების მოვალეობა ეკისრება. ასე რომ, მნიშვნელოვანია, შესაბამის ინსტიტუტებს ამ მიზნის მისაღწევად საკმარისი საშუალებები და რესურსები ჰქონდეთ.

- რამდენად ხდება სამართლებრივი ინფორმაციის წარმოება ადგილობრივ ენებზე – ეთნიკური და ენობრივი უმცირესობებით მრავალფეროვან საზოგადოებაში მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივი ინფორმაცია წარმოებულ იქნას შესაბამის ენებზე. სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობისა და თანასწორობის პრინციპი ნიშნავს სამართლებრივი სისტემისა და პოლიტიკის ინკლუზიურობასა და ყველასთვის ხელმისაწვდომობას.

24 Beqiraj and L McNamara, International Access to Justice: Barriers and Solutions (Bingham Centre for the Rule of Law Report 02/2014), International Bar Association, October 2014, გვ. 17.

- სახელმწიფო პოლიტიკა/მექანიზმები, რომლებიც მოქალაქეთა სამართლებრივი ცოდნის გასაზრდელად/სახელმწიფოს მიერ ინფორმაციის გავრცელებისათვის გამოიყენება – მოსახლეობის სამართლებრივი გაძლიერება ვერ მიიღწევა, თუ სახელმწიფოს არ ექნება სათანადო პოლიტიკა და გრძელვადიანი ხედვა, თუ როგორ უნდა გახდეს მართლმსაჯულება ყველასთვის ხელმისაწვდომი, განსაკუთრებით მათთვის ვინც ღარიბი და მარგინალიზებულია. სახელმწიფო პოლიტიკა ამ თვალსაზრისით უნდა იყოს ყოვლისმომცველი და განიხილოს ფართო სოციალური პრობლემები, მაგალითად, განათლებისა და წერა-კითხვის დაბალი დონე.

- სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ სამართლებრივი ცნობიერების შესახებ შეტყობინებების გავრცელებისა და სამართლებრივი გაძლიერების მიზნით მედიის/ინტერნეტ მომსახურების გამოყენება – პოპულარული საგანმანათლებლო და სამართლებრივად გამაძლიერებელი მეთოდების გამოყენება საშუალებას მისცემს სამართლებრივი ცოდნის შემქმნელ პროგრამებს გაზარდონ მათი გავლენა და ფართო აუდიტორიას მიწვდნენ.[25] განათლების ზოგიერთი პოპულარული მეთოდია: საზოგადოებრივი რადიო ან სატელევიზიო შოუები, საინფორმაციო კრებულები/ფლაერები, თუ როგორ უნდა დაიწყოს სამართლებრივი ქმედებები მათ, ვისაც არ აქვს ადვოკატის დაქირავების შესაძლებლობა, ინტერნეტრესურსების გვერდები და ა.შ.[26]

- იმ სამართლებრივი ინფორმაციის ტიპი და სარგებლიანობა, რომელიც მოქალაქეებმა მიიღეს ინტერნეტიდან/მედიიდან პრობლემის უკეთ გააზრების ან გადაჭრის მიზნით:

  – ინფორმაცია უფლებებისა ან/და კანონის შესახებ;
  – ინფორმაცია პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ;
  – ფორმები და სხვა დოკუმენტები;
  – საკონტაქტო ინფორმაცია დახმარების წყაროს, დავის გადაწყვეტის პროცესის ან შესაბამისი ორგანოს შესახებ.

სამართლებრივ ცნობიერებასთან დაკავშირებული ბარიერები უნდა შეფასდეს საჯარო ინფორმაციის წერილების, შესაბამისი სამართლებრივი დებულებების, სიღრმისეული ინტერვიუების, ფოკუს ჯგუფების, საზოგადოებრივი გამოკითხვებისა და სხვა ინფორმაციის ანალიზის შედეგად. სამართლებრივი ცნობიერების საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად სხვადასხვა ცვლადები უნდა იქნას გაანალიზებული, როგორიცაა განათლებისა და წიგნიერების საშუალო დონე

25 Access to justice assessment tool, a guide to analyzing access to justice for civil society organizations, American Bar Association (ABA), 2012, გვ. 12.

26 იქვე.

(აგრეთვე კომპიუტერის ცოდნა) და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის დონე. უფრო მეტიც, სკოლაში სამოქალაქო განათლების პროგრამების ანალიზი შეიძლება ასევე სასარგებლო იყოს.

3.3. ფიზიკური, ინფრასტრუქტურული და გეოგრაფიული ბარიერები

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასამართლოების ფიზიკურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობაზე. თუ სასამართლოები დაინტერესებული მოსახლეობისგან შორს მდებარეობს და შესაბამისი ტრანსპორტირება მიუწვდომელია, რა თქმა უნდა, ეს იმოქმედებს როგორც მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერი. ძირითადად, გეოგრაფიული ფაქტორი მნიშვნელოვანია სოფლად მცხოვრები პირებისთვის, ხოლო ფიზიკური ხელმისაწვდომობა სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვისაა რელევანტური.[27]

- მართლმსაჯულების ინსტიტუტების რაოდენობა და განაწილება ქვეყნის მასშტაბით – სახელმწიფოს საკმარისი რაოდენობის ფუნქციონირებადი მართლმსაჯულების ინსტიტუტები უნდა ჰქონდეს, რათა მოქალაქეებს დავის გადასაჭრელად დიდი მანძილის გავლა არ უწევდეთ.[28] უფრო მეტიც, არასასურველმა სამუშაო საათებმა/ამ დაწესებულებებში შეხვედრების ჩანიშვნის სირთულემაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას. ამ კვლევის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ინსტიტუციების განხილვა:

  – უფასო იურიდიული დახმარების სამსახური;
  – სამართლებრივი ფონდები ან არასამათავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უფასო იურიდიულ დახმარებას გასწევენ;
  – საზოგადოებრივი, სამართლებრივი კლინიკები;
  – უფასოდ მომუშავე ადვოკატები;
  – ადვოკატთა ასოციაცია;
  – დამოუკიდებლად მომუშავე იურისტები (ადვოკატთა ასოციაციის არაწევრი იურისტები)/სხვა სამართლებრივი საკონსულტაციო ორგანოები;
  – საუნივერსიტეტო სტუდენტთა სამართლებრივი კლინიკები;
  – სასამართლოები.

27 Programming for Justice: Access for All, A Practitioner's Guide to a Human Rights-Based Approach to Access to Justice, UNDP, 2005, გვ. 158.

28 Access to justice assessment tool, a guide to analyzing access to justice for civil society organizations, American Bar Association (ABA), 2012, გვ. 22.

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, საგზაო პირობები და სამგზავრო ხარჯები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მართლმსაჯულების დაწესებულებების ხელმისაწვდომობას – იმისათვის, რომ მოქალაქეებმა გამოიყენონ მართლმსაჯულების ინსტიტუტი თავიანთი პრობლემების ან დავების გადასაჭრელად, მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ მართლმსაჯულების დაწესებულებაში გამგზავრება. რაც უფრო რთულია ადამიანებისთვის მართლმსაჯულების ინსტიტუტებში მისვლა, მით უფრო ნაკლებია ალბათობა იფიქრონ, რომ მათი სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად ღირს მართლმსაჯულების სისტემის გამოყენება.[29]

- მართლმსაჯულების დაწესებულებების ფიზიკური ადაპტირებულობა – მართლმსაჯულების ინსტიტუტების ფიზიკური ადაპტირებულობის დაბალი დონე უამრავ ბარიერს ქმნის. ყველაზე აშკარა სირთულეა მობილობის პრობლემების მქონე პირთა მომსახურებაზე ფიზიკური წვდომის მოპოვება. საზოგადოების ნებისმიერი წევრის მიერ ნორმალური სპექტრის სამართლებრივი პრობლემების გარდა, ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირები შეიძლება წააწყდნენ დასაქმებისა და სხვა სფეროებში დისკრიმინაციასაც.[30] პრობლემა ანალოგიურია სხვა ფორმის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი, რომ მართლმსაჯულების ინსტიტუტები ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

- სასამართლო დოკუმენტების ინტერნეტით წარდგენისა და მათზე წვდომის შესაძლებლობა, მათ შორის სისტემის მიერ ელექტრონულად დამუშავების შესაძლებლობა და დოკუმენტების ელექტრონული ხელმისაწვდომობა (ამ ბარიერის გასაანალიზებლად უნდა გამოითვალოს კომპიუტერის ცოდნის საშუალო დონე და მოსახლეობის წვდომა კომპიუტერებსა და ინტერნეტზე).

ფიზიკური, ინფრასტრუქტურული და გეოგრაფიული ბარიერები უნდა შეფასდეს სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარებით; საზოგადოებრივი გამოკითხვების/ინფორმაციის ანალიზით. უფრო მეტიც, ამ ინსტიტუტების რუკების შედგენა შეიძლება სასარგებლო იყოს დასახლებული ადგილებიდან, რომლებიც მათ იურისდიქციას მოიცავს, მანძილების გასაზომად.

29 იქვე.

30 Louis Schetzer, Joanna Mullins and Roberto Buonamano, Access to Justice & Legal Needs, Law & Justice Foundation of New South Wales, 2002, გვ. 20.

3.4. ფინანსური ბარიერები

სასამართლო საქმის წარმოება საშუალო მოქალაქისთვის ძვირი ჯდება, ამიტომ სასამართლო ხარჯების ოდენობა (ადვოკატისა და სასამართლოს გადასახადი) მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისთვის გავრცელებული ბარიერია. მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევის პერსპექტივა ხელს უწყობს ინდივიდების მიერ სამართლებრივ დავაზე საქმის აღძვრისაგან თავის შეკავებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ წესის თანახმად, წაგებულ მხარეს გამარჯვებულის ხარჯების დაფარვაც მოუწევს. როგორც ფიზიკური პირის ფინანსური მდგომარეობა, ასევე საბოლოო შედეგი უნდა იყოს სამართლებრივი ხარჯებისგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლების განსაზღვრის ფაქტორი.[31]

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას შემდეგი სახის ხარჯებმა შეიძლება შეუშალოს ხელი:

- პირდაპირი ხარჯები – პირდაპირი ხარჯები არის ის მოსაკრებლები და სხვა ხარჯები, რომლებიც აუცილებელია მხარის მიერ საქმის წარსადგენად ან სამართალწარმოებაში მონაწილეობის მისაღებად, როგორიცაა:
  - იურიდიული კონსულტანტის/წარმომადგენლის ანაზღაურება;
  - საქმის აღძვრისათვის გადასახდელი თანხა (ე.წ. ბაჟი);
  - საპროცესო ხარჯები – მაგ. საექსპერტო მოსაკრებლები, მტკიცებულებებისა და ინფორმაციის შეგროვების ხარჯები;
  - გადაწყვეტილების აღსრულების ხარჯები;
  - კომუნიკაციასთან დაკავშირებული ხარჯები;
  - სასამართლოში ყოფნისას ბავშვზე ან სხვა იმ პირზე ზრუნვის ხარჯები, ვინც იმყოფება საქმის მხარის მეთვალყურეობის ქვეშ.

- შესაძლებლობის დანახარჯები – ამ ბარიერის გაანალიზებისას გამოანგარიშდება საქმის სასამართლოში წარდგენისას დახარჯული დრო, და არა ფული, რომელიც შეიძლება პირს ეშოვნა, მაგალითად მგზავრობაზე დახარჯული დრო, საქმის განხილვის ხანგრძლივობა, საჭირო დოკუმენტაციის შეგროვების დრო და ა.შ. ჩვეულებრივ, ეს პროცესები გრძელია და მხარეებისათვის რამდენიმე სამუშაო დღის დაკარგვას გულისხმობს, შესაბამისად, შესაძლებლობის ხარჯები, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მიმართულებით.

31 Pathways to Justice, Access to Justice with a focus on Poor, Women and Indigenous People, UNDP, გვ. 2.

- ემოციური დანახარჯები – ეს ბარიერი მოიცავს პრობლემის გადაჭრის პროცესის მიერ მიყენებულ ემოციურ ზემოქმედებასა და გავლენას პირის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, როგორიცაა სტრესი, იმედგაცრუება, რისხვა, დამცირება, რაც გამოწვეულია სამართლებრივი პროცესით და ა.შ.

ფინანსური ბარიერები უნდა შეფასდეს საჯარო ინფორმაციის წერილების ანალიზით, საშუალო შემოსავლის მონაცემების შედარებით საქმის ტიპის მიხედვით გამოანგარიშებულ სასამართლო წარმოების საშუალო ღირებულებასთან, სიღრმისეული ინტერვიუების/ფოკუს ჯგუფების ჩატარებით.

3.5. სოციალური და კულტურული ბარიერები

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისთვის სოციალური და კულტურული კონტექსტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ანალიზისას ყურადღება უნდა გამახვილდეს შემოსავლის უთანასწორობაზე, ეკონომიკურ გარემოზე, ურბანიზაციაზე, სახელმწიფოში არსებულ ეთნიკურ/რასობრივ/რელიგიურ დაყოფაზე, ოჯახის ტრადიციებზე, განათლების დონეზე და ა.შ. უკიდურესი სიღარიბე, განათლების დაბალი ხარისხი და მარგინალიზაციის მასშტაბურობა ხშირად ერთობლიობაში მოქმედებს და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს.

იურიდიული დახმარების სამსახურებისა და სასამართლოების ხელმისაწვდომობას შემდეგი ასპექტები აფერხებს:

- უნდობლობა იურიდიული დახმარების სამსახურის ან სხვა უფასო იურიდიული დახმარების გამწევი დაწესებულებების მიმართ – ბევრ მოქალაქეს შეიძლება ჰქონდეს ინსტინქტური შიში ან უნდობლობა ადვოკატების და ზოგადად, იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართ. ხალხს შეიძლება სჯეროდეს, რომ ადვოკატებს არ ესმით მათი ან განმარტებებს მისცემენ ისე, რომ მათთვის გაუგებარი იქნება, ან/და შესაძლოა მათაც კი ადანაშაულებდნენ საკუთარ მდგომარეობაში.[32] ამ მიზეზების გამო, ზოგიერთმა ადამიანმა სამართლებრივი პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის მიზნით იურიდიული დახმარების სამსახური შეიძლება არც კი გამოიყენოს.

- მართლმსაჯულების ინსტიტუტებისადმი უნდობლობა – პირებმა, რომლებმაც განიცადეს დისკრიმინაცია და შეურაცხყოფა პოლიციის ან სხვა სახელმწიფო

32 Access to justice assessment tool, a guide to analyzing access to justice for civil society organizations, American Bar Association (ABA), 2012, გვ. 17.

ორგანოების მიერ, ან დაექვემდებარნენ მართლმსაჯულების სისტემის მხრიდან უსამართლო შედეგებს, შეიძლება აირჩიონ, რომ არ დაეყრდნონ ოფიციალურ პროცედურებს მათი სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად. სასამართლოების მიმართ უნდობლობა განსაკუთრებით რთული დაბრკოლებაა, რადგან ის ძირს უთხრის დავის კანონისმიერი გზებით მოგვარების შანსებს, იქნება ეს დავა კერძო პირებს შორის თუ ხელისუფლებასთან.

- პოლიციელთა/ადვოკატთა/მოსამართლეთა მგრძნობელობის არ ქონა/არცოდნა საზოგადოებაში, ისევე როგორც საჯარო დაწესებულებებში, დისკრიმინაციული პრაქტიკის შესახებ – რწმენა, რომ დავა პოლიციის/სასამართლო სისტემის მიერ კონკრეტული მარგინალიზებული ჯგუფების მიმართ მიუკერძოებლად/მგრძნობიარედ არ გადაწყდება, მართლმსაჯულებაზე წვდომის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს. საზოგადოებაში დამკვიდრებული დამოკიდებულებებისა და ქცევების შეცვლას დიდი დრო სჭირდება და სახელმწიფო აქტიური პოლიტიკის საშუალებით უნდა ჩაერთოს, იმისათვის რათა ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების სისტემის ინკლუზიურობის ზრდას. თავად მოსამართლეები და ადვოკატები, რომლებსაც ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა ჰქონდეთ თანასწორობის პრინციპის დაცვაში, ხშირად დისკრიმინაციული პრაქტიკის მიმართ ტოლერანტულნი არიან. მეორეს მხრივ, ამ პროფესიონალებმა შეიძლება არ იცოდნენ მარგინალიზებული ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებების შესახებ, ან, რაც მთავარია, შესაბამისი ინსტიტუტები კონკრეტული სერვისების საშუალებით მათი საჭიროებების მოგვარებას ვერ ახერხებდნენ.[33]

- სოციალურად ან კულტურულად დაუცველის სტატუსი (ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, ლგბტ თემი) – მრავალი ადამიანი განიცდის სისტემურ დისკრიმინაციას და გარიყულობას კონკრეტული სოციალური ან კულტურული სტატუსის საფუძველზე. ისტორიული მარგინალიზება და ჩაგვრა ხშირად ნიშნავს, რომ სოციალური და მართლმსაჯულების ინსტიტუტები არ იცნობენ ჯგუფის საჭიროებებსა და პრობლემებს. სახელმწიფო უნდა იყოს იმის გარანტი, რომ მარგინალიზებული ან მოწყვლადი ჯგუფის წევრობა მათი მონაწილეობით მიმდინარე სამართლებრივ პროცესზე გავლენას არ მოახდენს.

- სახელმწიფოსაგან/მართლმსაჯულების სისტემისგან/საზოგადოებისგან გაუცხოება ეკონომიკურად გაჭირვების გამო – ადამიანთა უმეტესობისთვის ეკონომიკური სიდუხჭირე ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისათვის. როლი, რომელსაც მართლმსაჯულების სისტემაში

33 Programming for Justice: Access for All, A Practitioner's Guide to a Human Rights-Based Approach to Access to Justice, UNDP, 2005, გვ. 157.

ფინანსური შესაძლებლობები თამაშობს, ხშირად სამართლებრივ პროცესებს პროგნოზირებადი მიმართულებებით წარმართავს. ხალხი ხშირად ეჯახება ძალაუფლების გადაულახავ დისბალანსს, რადგანაც მათ მოწინააღმდეგე მხარეს კანონის თავიანთ სასარგებლოდ გამოსაყენებლად საკმარისი რესურსი აქვს. ეს შეიძლება იყოს არა მხოლოდ უსამართლო სამართლებრივი შედეგების მიზეზი, არამედ იმისაც, რომ პირმა სამართლებრივ პროცედურებში საერთოდ არ მიიღოს მონაწილეობა.

- ქართული ენის ცოდნა/განათლების დაბალი დონე – ენა და წიგნიერება, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი ბარიერია მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისთვის. ზოგიერთი მოწყვლადი ჯგუფი შეიძლება შეშინდეს ფორმალური სასამართლო პროცესებით და რაც მთავარია მათ ვერ შეძლონ ოფიციალურ ენაზე კომუნიკაცია. იმ ადამიანებს, რომლებმაც არ იციან ქართული, შეიძლება ბუნებრივი დაბრკოლებები ჰქონდეთ მართლმსაჯულების ინსტიტუტებში მისასვლელად, თუ სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე არ არსებობს თარჯიმნის მომსახურებით უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიები. უფრო მეტიც, ეკონომიკურად დაუცველი ჯგუფის უმეტესობა შეიძლება წერა-კითხვის არმცოდნე იყოს, რაც უზარმაზარ დაბრკოლებას წარმოადგენს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მართლმსაჯულების ინსტიტუტებზე წვდომა მოითხოვს სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას.[34]

- ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის ნაკლებობა – მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ გარანტიები, რომ მათი მონაწილეობა კონკრეტულ სამართლებრივ პროცესებში არასასურველი ხილვადობისგან დაცული იქნება. ანონიმურობისა და პირადი ცხოვრების დაცვის ნაკლებობა ხალხისთვის სამართლებრივი პრობლემების გადაჭრისას შეიძლება მნიშვნელოვანი დაბრკოლება იყოს.

- სირცხვილის გრძნობა/სტიგმატიზაციის შიში – ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სირცხვილის გრძნობა ან სტიგმატიზაციის შიში, გარკვეულ ჯგუფებს ან ხალხს აშორებს მათთვის საჭირო სოციალური და მართლმსაჯულების სისტემის მომსახურებისაგან. სტიგმატიზაცია ზოგჯერ იწვევს რეგულარული დასაქმების შეუძლებლობას, დაბალ თვითშეფასებას და ა.შ. უფრო მეტიც, სოციალური სტიგმა შეიძლება მნიშვნელოვანი ბარიერი იყოს მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენლებისთვის. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისინი უკვე არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან, მათ შეიძლება ეშინოდეთ, რომ თუ მიმართავენ ფორმალურ სისტემას, განსაკუთრებით თუ სახელმწიფოს ან ვინმე უფრო მათზე ძლიერის წინააღმდეგ, ისინი შემდგომ სოციალურ ზეწოლას, გარიყვას, დადანაშაულებას ან შურისძიებას დაექვემდებარებიან.[35]

34 იქვე, გვ. 157-158.

35 იქვე, გვ. 158.

- შურისძიების საშიშროება – შურისძიების საშიშროება, განსაკუთრებით კონკრეტულ კულტურულ და სოციალურ გარემოში, შეიძლება სერიოზული ფაქტორი გახდეს სამართლებრივ პროცესებში მონაწილეობის საკითხის გადაწყვეტისას. შიშმა შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ დაზარალებულებმა ან მოწმეებმა არ გამოიყენონ დაცვის სამართლებრივი საშუალებები მაშინაც კი, როდესაც მათი უფლებები დაირღვა ან არ შეასრულონ გამოძიებაში/სასამართლო პროცესებში მონაწილეობის მოვალეობა. მათ შეიძლება ეშინოდეთ, რომ თუ ისინი ფორმალურ სისტემას მიმართავენ, არა მხოლოდ მომხდარი სამართალდარღვევის გამო სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებით სასურველ შედეგს ვერ მიიღებენ, არამედ დამნაშავისგან შემდგომი ძალადობაც კი შეიძლება განიცადონ.[36]

- მჭიდრო ურთიერთობა დამნაშავეს ან მოწინააღმდეგე მხარესთან ან მათი შეცოდება – ზოგ შემთხვევაში, სოციალური და კულტურული კავშირები და ურთიერთობები დიდ როლს თამაშობს იმის გადაწყვეტაში, დავის მოსაგვარებლად პირები მიმართავენ მართლმსაჯულების ინსტიტუტებს თუ არა. ეს დამოკიდებულება შეიძლება დაკავშირებული იყოს საზოგადოების მთლიან სტრუქტურულ მოწყობასთან, ტრადიციების როლთან და ა.შ.

- კრიმინალური მენტალიტეტი/კრიმინალური სუბკულტურებისადმი მიკუთვნება – კონფლიქტები ან დავები ხშირად წყდება დავის გადაჭრის არასამართლებრივი საშუალებებით, მაგალითად, კონკრეტულ კულტურულ კონტექსტში, კრიმინალური ავტორიტეტების დახმარებით. საკითხი რეალურად მნიშვნელოვანია, რადგან ამ სახის პრაქტიკა საზოგადოებაში არსებულ სტრუქტურულ პრობლემებს მალავს, რაც სოციალურ გარემოს უსამართლოსა და საშიშს ხდის, ხელს უშლის მართლმსაჯულების ინსტიტუტებზე წვდომას და ა.შ.

- დავის გადაწყვეტის არასამართლებრივი ტრადიციები, რომლებიც სხვადასხვა რეგიონში არსებობს – მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ნდობა იმ ინსტიტუტების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ სამართლებრივი პრობლემის მოგვარებაში დახმარების გაწევა. თუმცა, კონფლიქტების მნიშვნელოვანი რაოდენობის მოგვარება ან მართვა ხორციელდება ფორმალური სამართლებრივი სისტემის გარეთ, სხვადასხვა სახის მექანიზმებით (მაგ. ადგილობრივ ავტორიტეტებს, რომლებსაც შეუძლიათ გადაწყვიტონ ისეთი სამართლებრივი შემთხვევები ადგილობრივი კულტურისა და ადათ-წესების საფუძველზე, რაც მოითხოვს სასამართლოს მიერ შედეგის განსაზღვრას), განსაკუთრებით სოფლად.[37] ზოგჯერ ადამიანები უფრო მეტად ენდობიან და იცნობენ ადგილობრივ, არაფორმალურ ინსტიტუციებს, ვიდრე პო-

36 იქვე, გვ. 157-158.

37 Pathways to Justice, Access to Justice with a focus on Poor, Women and Indigenous People, UNDP, გვ. 3.

ლიციელებს, პროკურორებს, სასამართლოებს და ა.შ. მაგალითად, მათ შეიძლება ეშინოდეთ პოლიციის ან პროკურორის, მათ მიერ ძალის ბოროტად გამოყენების ან არასათანადო მოპყრობის წარსულში მომხდარი შემთხვევების გამო.[38]

- რელიგიის გავლენა – ზოგიერთ კანონს შეიძლება სხვადასხვა ჯგუფების წინააღმდეგობა შეხვდეს იმის გამო, რომ ეს რეგულაციები ეწინააღმდეგება ჩვეულებით ან/და რელიგიურ ნორმებს. სამართლებრივ ჩარჩოში დამკვიდრებული ზოგიერთი ღირებულება შეიძლება მიუღებელი იყოს კონკრეტული კულტურისთვის. ამრიგად, ასეთი თემებისა და ჯგუფების წარმომადგენლებმა შეიძლება უფრო ხშირად მიმართონ რელიგიურ ორგანოებს, ვიდრე ოფიციალურ სამართლებრივ სისტემას, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.

- საზოგადოების ნორმები და სხვა კულტურული ბარიერები – ზოგჯერ ჩვეულებითი ნორმები აყალიბებს იმ პრაქტიკას, რომელიც გამოიყენება სამართლებრივი პრობლემის გადასაჭრელად. სახელმწიფოს მოვალეობაა შეინარჩუნოს სწორი ბალანსი დავის გადაჭრის ფორმალურ საშუალებებსა და არაფორმალურ მეთოდებს შორის, რაც საზოგადოებაში სოციალურ ჰარმონიას უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, სხვადასხვა კულტურულ პრაქტიკას შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა და შესაბამისად, დაბრკოლება იყოს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისთვის, მათ შორის საზოგადოების, ოჯახის, მეუღლის ან რელიგიური ლიდერების მხრიდან ზეწოლა საჩივრებზე უარის თქმის შესახებ. ქვეყანაში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ერთიანი სურათის დასანახად ამ ბარიერების იდენტიფიცირება და შემდგომი ანალიზი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

საზოგადოებრივი და კულტურული ბარიერები უნდა შეფასდეს სიღრმისეული ინტერვიუების/ფოკუს ჯგუფების ჩატარებით, საზოგადოებრივი გამოკითხვების, ანალიტიკური დოკუმენტების, სათემო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზით და სხვა.

38 Access to justice assessment tool, a guide to analyzing access to justice for civil society organizations, American Bar Association (ABA), 2012, გვ. 14.